№ 170 17 მარიამობისთვე პარასკევი 1866—1879 17 მარიამობისთვე პარასკევი № 170

დროება

ᲣᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲝᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲦᲔ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ტფილისში ადგილზე 1 ფ. 5 ᲐᲣᲯᲐᲠᲝᲡ ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲗᲘ — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამზადებული სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲚᲒᲐ, შეუდგა რა მომავალის ქრისტეანობის თვეში **ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛᲝᲚᲛᲠᲗᲕᲔᲚᲒᲗᲐ ᲡᲘᲔᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐᲡ**, საყოველთაოდ აცხადებს, რომ მომავალს ღვინობისთვის პირველ რიცხვამდინ, იქნეს შემოტანილი მცხოვრებთაგან ქალაქის სასარგებლოთ ხეედრი გარდასახადი, ყოველი გვარი გარდასახადისა, ვიდრე 1880 წლამდე, რადგან 1964 სტ. II ტ. ნაწ. I გამოც. 1876 წ. ძალით, სხვათა შორის, გარდასახადის გარდუხდელობაც ართმევს მცხოვრებთ ხმის უფლებას.

ᲒᲐᲛᲒᲘᲝᲑᲘᲡ ᲬᲕᲔᲠᲘ: Ив. Месхи.

(3—3)

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

მიიღება რედაქციაში — ბაღის (სადღეის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲤᲐᲡᲘ ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 იელისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით — **ᲮᲣᲗᲘ** მანეთი.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 10 აგვისტოს

(ხალხთა-შორის ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	— 95	—25
მეორე	— — — 93	—37
მესამესი	— — — 93	—50
მეოთხესი	— — — 93	—25
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠ.	— 92	—37
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ	— 92	——
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ, მესამე	— 92	—12
ᲝᲥᲠᲝ, ½ იმპერიალი	— 7	—85
ᲗᲤᲘᲚ. თავად-აზნ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ		
ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	— „	— „
ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ 5% სესხის ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ		

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— 232	—75
მეორე სესხის	— — 233	——

1 მანეთი ღირს:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ	— — 25 ——	პენსი
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ	— — 126 — 75	ცენტი
პარიჟი	— — — 264 ——	სანტიმი
ᲕᲔᲜᲐ	— — — 214 — 25	ᲰᲤᲔᲜᲘᲒᲘ
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲡᲘᲜᲘ	— — —	

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲝᲜᲘᲓᲐᲛ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ ᲩᲕᲔᲜ, რომ იქითკენ „ქურდობა, განსაკუთრებით ცხენებისა, ძალიან გახშირებული არისო. ამ წლის პირველ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲛ დღემდი, თუ მეტი არა, ასამდინ მაინც იქნება ხანჯლით და სხვა იარაღებით დაჭრილები. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ძალიან ცდილობს ამ გვარ ბოროტ-მოქმედებების მოსპობას, მაგრამ ვერა გაუწყვეტია-რა!.

ᲐᲛ თვის პირველ რიცხვებში აქ გაიხსნა დროებით ᲝᲚᲥᲘᲡ სასამართლო, რომელმანც, სხვათა შორის, გაარჩია საქმე ვინმე მხეიძისა, რომელსაც ცხენების ქურდობას აბრალებდნენ. დიდ ძალი ხალხი დაესწრო ამ საქმის გარჩევას. ᲐᲮᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲕᲐᲥᲔᲑᲘ ძალიან მოწადინენი იყვნენ, თუ რა შედეგი ექნებოდა მხეიძის საქმეს, რადგანაც უმეტესობა ამათგანი ცდილობს იმის გზას დაადგეს და ეს ხელობა შეისწავლოს.

ᲗᲣᲛᲪᲐ გამოძიებამ ცხადათ დაგვანახა, რომ მხეიძეს მოუპარავს ცხენები, მაგრამ სუდმა მხოლოდ „სამი თვე“ დატუსაღება გადაუწყვიტა! (ᲩᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲒᲕᲔᲒᲛᲝᲜᲐ, რომ იმას მკაცრ სასჯელს მიაყენებდნენ)!

ᲑᲔᲕᲠᲘ მოხარული და აღტაცებული იყო ამ გარდაწყვეტილებაზედ, მაგრამ უმეტესობად ვინავ, სწუხ, რომ ამითი ქურდებს ეძლევაო გამბედობა უშიშრად აასრულონ თავიანთი ხელობა!“

*** ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲓᲐᲛ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ „ᲗᲤ. ᲛᲝᲐᲛ.“, რომ შარშანდელი ჭირი, რომელმანც იქითკენ ათას-ხუთასამდი რქიანი პირუტყვი დაჰხოცა, წელსაც ისე მოდებულია სოფლებში, რომ უთუოდ გაათავებს შარშანს აქეთ დარჩენილ პირუტყვებსაც. მცხოვრებლებს ვერაფერი ღონის-ძიება ვერ უხმარიათ და არ იციან, რა ჰქნანო.

ᲐᲕ ᲭᲘᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲑᲡ ადგილობრივი ვაჭრები შოულობენ თითქმის მუქთად (5—6 მანეთად თითო ხარს, ან ძროხას), ღამ-ღამით მოჰყავთ ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲨᲘ, ჰხოცავენ და გირვანქას ორ შაურად ჰყიდიანო.

ᲐᲕ წინაზედ ამისთანა ვაჭრები დიჭირეს, ღამით რო ჩუმათ ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲨᲘ მიათრევდნენ ცოცხალ-მკვდარ პირუტყვებსა და წარუდგინეს ადგილობრივ პრისტავს; მაგრამ იმან ყურადღებაც არ მიაქცია და დაითხოვა ყასპები.“

*** ᲩᲕᲔᲜ გავიგონეთ, რომ რამოდენიმე იმ ავაზაკებთაგანი, რომელთაც ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ და იმის გარშემო სოფლებში მკვლელობა და მტაცებლობა მოახდინეს ამას წინათ, — უკვე დაუჭერიათ და გამოძიებაში გარდაუციათ. ᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ, რომ ᲔᲘᲗᲝᲛᲪ ᲖᲣᲠᲘᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ დასჭრესო, ტყუილი გამოდგა: როგორც ამბობენ იარაღი არ უხმარიათ იმაზედ.

*** ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲔᲑᲛᲐ გვიამბეს, რომ იქითკენ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲡ ძალიან თხლათ ასხიაო და დანაკრუელიც არისო; მაგრამ მაგივრათ „ᲐᲓᲔᲡᲘᲡ ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ“, ვისაც კი გაუშენებია, ძალიან ბლომათ არისო!

*** ᲩᲕᲔᲜ მივიღეთ ერთი ხელოსნისაგან შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდათ:

„Უ. რედაქტორო! ᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ თქმულა თქვენს გაზეთში ᲩᲕᲔᲜᲘ, ხელოსნების მდგმოიარობა და ახლაც მინდა მოგახსენოთ, რომ ერთობ ცუდ მდგომარეობაში არიან ნამეტურ ᲩᲕᲔᲜᲘ შაგირდები და ქარგლები. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ ᲩᲔᲛᲘᲡ შენიშვნას თქვენს პატივცემულ გაზეთში: ᲩᲐᲛᲝᲭᲕᲐᲕᲡ რომელიმე გლეხს თავისი 10—11 წლის შვილი და ეძებს, რომელიმე ხელობაზედ მიაბაროს და, რასა-

კვირველია, იმის ამყვანი ოსტატებიც ბლოგმათ ჩნდებიან.

„შენი შვილი პატარა არისო! მუბნებიან ესენი: „პურის ჭამათ არა ღირსო; თუ მოგვცემ 6—7 წლით, ხო კარგიო, თუ არა და შენ იციო!“ ამაზედ უცოდინარი გლეხი თანხმდება და აძლევს შვილს ამ ვადით. დასწერენ პიროობის წერილს შინაობაში, (თუმცა კი რიგია, რომ სახელოსნო უპრავაში დაიწეროს, მაგრამ იციან, აქ ნებას არ მისცემენ ამ გვარად საქმის დაჭერისას) ექვსი ან მეტი წლით აყვანაზედ. მაგრამ ბევრჯერ ვადა უსრულდებათ და არც პიროობაში მოხსენებულ ტანისამოსს, ან იმის ფულს აძლევენ შაგირდს, არც რიგიანათ ინახავენ და თუ აძლევენ, იმასაც ისე წვრილ-წვრილათ, რომ არ შეუძლია საწყალს იყიდოს ტანისამოსი, ან სხვა რაიმე! არც პურის ფულს აძლევენ რიგიანათ, როგორც პიროობაში უწერიათ.

ბანა შეიძლება ეს ასეთი ულმერთობა? როგორ უნდა ეყოს ამ საცოდავ შაგირდებს ექვს-შვიდ წელიწადს დღეში აბაზი, ან სამი შაური? არა სჯობიან, რომ თითონვე ასვას-აჭამოს, თუნდა ცარიელი პური, მაგრამ მაძღრისათ და მცირე ფასის ტანისამოსიც ჩააცვას, რომ ასე ატყუვილებენ და წვრილ-წვრილათ, თითო-ოროლ გროშობით აპარებენ ხელიდამ იმ ცოტა რამეს, რასაც შეჰპირებიან? ამ მდგომარეობაში 9—10 წლის ბავშვი მეტად იჩაგრება; იმას ორ-სამ წელიწადს არაფერ საქმეს არ აკეთებინებენ, მხოლოდ ხელზედ იმსახურებენ გასაგზავნ-გამოსაგზავნათ.

ბევრ ამათგანს უჩნდება ისეთი გარყვნილი უფროსი—ხელოსანი, რომ ათრევს დუქნებში; ტრაქტირებში, სადაც ცუდ ქცევისა და ლანძღვა-გინების მეტს ვერას სწავლობენ თავის ტოლებისა და უფროსებისაგან.

ბოხოეთ, უ. რედაქტორო, ამაზედ დაგვეხმაროთ იმ ახალ საზოგადოებასთან; რომელიც ეხლა არსდება და სურს ამისთანა უპატრონო ბავშვების დაცვა, რომ იმისი წყალობით ან საკვირაო მკოლაში; ან ხელობაში მიეცეს ეს უსაქმოდ მაწანწალა ბავშვები; რომ ისწავლონ რაიმე და იქცენ კაცებათ; რომ არ ვიყვეთ ყველა ასე ღრმა უმეცრებაში ჩაფლული.“

ᲕᲘᲜᲛᲔ ᲮᲔᲚᲝᲡᲐᲜᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲝᲙᲠᲘᲑᲘᲓᲐᲛ, (ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ გუბ.), 12 აგვისტოს. ხშირად გამიგონია და წამიკითხავს კიდეც, უფ. რედაქტორო, რომ თქვენი პატივცემული გაზეთი აძლევს ადგილს თვის ფურცლებზედ ყოველ გვარ ბოროტ-მოქმედების გამოსააშკარებლად ნამეტურ მაშინ, თუ ეს ბოროტ-მოქმედება გავრცელებულია ხალხზედ, რომელსაც უსვინიდისო მოხელეები, ან მღვდლები და ან სხვა ამ გვარი მეუმფროსეები და მმართველები ყვანან. ამ ნაირად მე ვიმედნეულობ, რომ ამ ჩემს ნაჯღაბნსაც მისცემთ ადგილს თქვენს გაზეთში.

მე მსურს წარმოგიდგინოთ მინუში იმ ზოგიერთი სამღვდელო პირებისა, რომელთაც არ ვიცი როგორ ჩავარდნიათ ხელში ზოგიერთ ჩვენს მიყრუებულს სოფლებში საცოდავი ცხვრებსავით მრეველი, რომელსაც პარსვას კი აღარ აჯერებენ, არამედ ცოცხალს სტყავებენ, ოთხში იღებენ:

მაგალითად ავიღოთ სოფ. ᲝᲯᲝᲚᲚᲐᲡ მღვდელი მ. Ვ. Ძ. რა მღვდელია ის მღვდელი, რომელიც საღმრთო სიტყვის გავრცელების მაგივრად თავის მრევლში, თვეში ერთხელ არ დაენახება ამ უკანასკნელს და დანარჩენ დროს ქეიფსა და კურდღლობაში ატარებს? რა მღვდელია ის მღვდელი, რომლის მრევლი მოუნათლავი, უზიარებელი იხოცება, უმღვდლოთ იმარხება და უკანონო ჯვარ-დაუწერლათ ცხოვრობს?!

ეს იმიტომ ხდება ს. ᲝᲯᲝᲚᲚᲐᲡ, სადაც მ. Ვ. Ძ. მღვდლობს, რომ სანამ ვაჭრობას გაათავებდეს, ან ნათლობის, ან სამარხის ფასზედ მრევლს ილაჯი გაუწყდება და დაანებებენ თავს, სანამ უფრო არ გაუჭირდება და როდესაც უფრო გაუჭირდებათ, მაშინ მღვდელიც, რასაკვირველია, უფრო-და-უფრო მოუჭერს ხელს. აბა და კიდევ რა სულიერი მამაა ის მღვდელი, რომელიც, როგორც უწერიათ საღმრთო წერილში, უნდა სცდილობდეს ის ნეტარების მოპოვებას,—Ძ. კი ეს კანონი დავიწყებაში მიუცია და ხორციელ ნეტარებისათვის ხელი მიუყვია.

რა თქმა უნდა, რომ ამისთანა ქრისტეს წარმომადგენელი კარგი მაგალითია მრევლისათვის!?

ᲗᲣᲛᲪᲐ ეს მ. Ვ. Ძ. კოპიოა, რაც ზევით მოგახსენეთ, რომლის დამტკიცებაც ადვილად შემიძლია, თუ დამჭირდა, მაგრამ, დახე საცოდავ მრევლის უბედობას, ის რამდენიმე წელიწადია იმათი მღვდელია. მის მაგივრად, რომ ხალხი დაუახლოვოს იმას, ვისაც მითომ ის ემსახურება, მ. Ვ. ამგვარის მაგალითებით და მოქმედებით უფრო აშორებს ხალხს: თვეში ერთხელ არ სწირავს, მაგრამ მაშინაც სამს-ოთხს კაცს ძლივს დაინახავთ მლოცველებს და დედაკაცებს კი სულ ვერა,—ეშინიანთ, თქვე დალოცვილებო!

ვისგან შეიძლება, რომ ამისთანა მღვდელს მოესპოს მღვდლობა? ნუ თუ იმ საბლაღოჩინოის ბლაღოჩინმა იცის ეს და მაინც ყურადღებას არ ათხოვებს ამას? დიახ, იცის, მაგრამ ვერას ეუბნება, რადგანც ბლაღოჩინი ბევრში იმისი ამხანაგია და ზოგში კიდეც გადაჭარბებს მას. „—შენც სსუ და მეც სსუო!“ უთხრა ერთხელ მ. Ძ. მ. Ძ. და მას შემდეგ ორივე „სსუთ“ არიან.

ᲕᲔᲠ-ᲛᲘᲪᲐᲜᲘ—ᲫᲔ

ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲓᲐᲛ, 12 აგვისტოს. სიცხისაგან დაბრუებული, ლათინურისადა ბერძნულისაგან თავგამორეტებული, მებეზღვებიდგან ილაჯ გაწყვეტილი მოუთმენელად მოველოდი სოფელში წასვლას, რომ თავი მიმეცა ყველაფრის დავიწყებას. დადგა თუ არა სანატრელი დღე, უკულმა ხელით ვესროლე ჩემ სასწავლებელის კედელს ერთი ქვა და გამოვქუსლე რკინის გზისკენ.

ღვთის წყალობა გაქვს, მკითხველო, რომ მე დავივიწყე ყველა წვრილმანი დარდები, როცა აყვავებულ მთებს და მდელოს თვალ-დაჭყეტილი შევსცქეროდი; მერე კი სულ სხვა ფიქრები ამეშალა, როცა დავინახე ის ჩვენი ძველი ცხოვრების მოწამე მდ. არაგვი და ავადექნე თვალი მის ღელეებს.

„რამდენი ქართველის სისხლი დაღვრილა შენი გულისთვის, ჩვენო არაგვო, და შენ კი დღეს არაფრათ გვაფასებ ჩვენ!“ აღარ გახსოვამს როცა, „შენს კიდეებზედ ჩემი მამული იყო ერთ დროსა გამშვენებული?“ „როცა . . . . . ?“ ვბუტბუტებდი ჩემ თვის.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ ჩვენ ორთქლის მავალს რამდენიმე სტანციაც გაერბინა და თავი ამოვყავით ქასპის სტანციაში.

ვაგონშივე მომესმა ერთი ღიპიანი სომხის ხმა: (მანამდისინ კი სულ თავისივე გვარს ემუსაიფებოდა, თავის კეთილ კაცობაზედ, პატიოსნებაზედ: თუ როგორ შეიძინა ქართლის სოფლებში მამულები, თუმცა მამას და პაპას კი არაფერი დაუგდიარა).

„— ვა! ეს ინჩე?“ ᲥᲐᲚᲘᲐᲐ, ვერ ხედამ?! ᲥᲐᲚᲘᲐᲐ, ᲰᲝ! და გაბა კიდევ თავის მასლაათი.

„— ᲥᲐᲚᲘᲐᲐ, ᲙᲐᲚᲘᲐ! შენი ჭირიმე, დავიღუპეთ და დავიქეცით.“ წამოიძახა ერთმა გულ-გადაღეღილმა გლეხმა.

— ᲥᲐᲚᲘᲐᲜ დაგაზარალათ? ეკითხე მე.

— ᲐᲑᲐ შეხედე ჩვენს ყანებს! მითხრა მან კვნესით.

დავაპირე თუ არა მასთან მუსაიფი, დაუჭყეტინა ჩვენმა ორთქლის მავალმა და ძიგვიწვია ვაგონებში. ამ გლეხს არაფრათ იამა ასე მალე ჩვენი ლაპარაკის გაწყვეტა, თუმცა ჩემთვის კი სულ ერთი იყო ამ შემთხვევაში, რადგანაც ამისთანას ბევრს სხვას შევხვდებოდი, ბევრ გვარ კვნესებსაც მოველოდი გასაგონათ! . . . . ᲪᲝᲢᲐ ხანს შემდეგ ჩვენ მივუახლოვდით ᲑᲝᲠᲘᲡ სტანციას, რომლის შორი-ახლო დავინახეთ კოხტა პატარძალივით შორთული სოფელი.

— ᲐᲘ ჩვენი ᲪᲐᲪᲐᲡ ვენახი! უთითებდა ერთ მშვენიერ, ქვით-კირით შემოღობილ ვენახზედ, ზემოხსენებული სომეხი მეგობარს.

— რა სოფელია? ეკითხე სომეხს.

— ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘ!

— ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ რათ ეძახიან?

— ᲮᲔᲓᲐᲛ ᲐᲘᲛ ᲑᲣᲠᲯᲔᲑᲡ? გამიშვირა მტკვრისკენ ხელი: კიდევ ცოცხლები არიან! ᲐᲥ უწინ, მეფეების დროს, ხიდი

იყო, და ეს სოფელიც რადგანაც მაგის გვერდზეა იმიტომ?!

ასე დაწვრილებით რომ გაუცვნია ხიდისთავი,-ვიფიქრე მე ამ სომეხს: უთუოთ ეს სოფელი მეჯლანუაშვილების და ᲝᲚᲚᲔᲥᲝᲑᲘᲡ სასტუმრო უნდა იყვეს მეთქ!

მე დავაპირე წასვლა, რომ ამდროს დავინახე ერთი ხან-შესული ნაცნობი გლეხი.

— ᲝᲰ! გამარჯობა შენი, ᲖᲘ—გი! შეეყვირე ამ მოხუცს.

— ᲐᲰ! გადღიგრძელა ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ, ჩემო Ს—ო!

— ᲐᲑᲐ! ეუოხარი მე რაამბავია? მიანბე ხიდისთავის ანბავი! ᲓᲔᲠᲗ არ გახსენით? ᲐᲜ ᲨᲙᲝᲚᲐᲡ?.. ᲕᲘᲜᲐ გყავთ წინამძღოლი საქმისა? ᲖᲣᲠᲔᲚᲘ სომხები ხომ მაშულებს არა გტყუებენ?!

ᲑᲔᲕᲠᲘ გულსაკლავი პასუხი მომცა ამ გლეხმა!

— ᲩᲕᲔᲜ! დაიწყო გლეხმა: „დიდად მოხარულნი ვიყავით დეპოს გახსნაზედ, თუ მართლა იმ გზაზედ წავიდოდა, როგორც გვიქადაგებდნენ ზოგ-ზოგი ახალგაზდები და ჩვენი სულის მამა შიო Ბ—ვი! ᲑᲜᲐ არ გვესმოდა, რომ ᲐᲛᲑᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ დუქანში ვაჭრობას, არა კიდევ ᲖᲣᲠᲔᲚᲘ სომხებთან, რომლებიც ერთი სამათ გვისვამენ, გვქონოდა ჩვენც იმისთანა დუქანი, სადაც ამისთანა მამასისხლობა აღარ იქნებოდა და დიდ სარგებლობასაც მოუტანდა ჩვენ წყალწაღებულ ოჯახს! მაგრამ, თურმე ნუ იტყვი, ყმაწვილო, მ. შიოს თავის ჯიბის გამდიდრება სდომებია და ჩვენი დატყუება, როგორც ბოლოს დავრწმუნდით! ᲩᲕᲔᲜᲡ კრებაში რო იმდენი ილაპარა დეპოზე და მის სარგებლობაზედ, ის სულ იმ ფულების ლოცვა იყო, რომელსაც მოელოდა შემდეგში ჩასაჯიბათ!

ᲐᲛ ჩვენმა კეთილ-მყოფელმა სულის მამამ, რომელიც ასე ერთგულათ იყო ჩვენი კეთილ-დღეობისთვის, მეორე თვეში ჩაგვიყენა იასაული და ქვრივ—ობოლი და ოხერი სულ ერთიანათ დააწიოკა! ᲖᲝᲒᲘᲡᲐ ხალიჩას, ᲖᲝᲒᲘᲡᲐ ქვაბს, ფარდაგს, რასაკვრ მოახელებდა, იტაცებდა და გვარბევდა, კალოს პურში, დრამაში!

ᲔᲡ სულ ღვთის წინაღმდეგი საქმე არ არის, შენი კვნესამე ყმაწვილო?! შენი ჭირიმე, განა მაგის მეტი მღვდელი არა გვყოლია? მაგას, ყმაწვილო, არც დიდი გააჩნია არც პატარა; არც ამოწყვეტილი, არც აშენებული. რაც მე მახსომს სამი მღვდელი გამოგვცვლია და არავინ მოგვიმდურებია; ყველა კმაყოფილნი იყვნენ ჩვენი საწყალი ოჯახის შეძლების გვარათ; რაც იმათვინ გვიძლევია, იმას მაგას მივცემ, მაგრამ ეს მეტი-მეტს თხოულობს! ორი კოდი პურიო, ერთი ქათამიო, თუნგი ღვინოო, ორი აბაზიო, ამასთან კომლზედ მუშაო და სხ.. ᲐᲛ ბოლო დროს კიდე სახლის ქირისთვის დაგვიწყო ფულის თხოვნა!.

ᲐᲑᲐ რა ექნათ, შენი ჭირიმე, როცა ჩვენი სულის მამა, ჩვენი დამრიგებელი, მასწავლებელი, ჭირში და ლხინში ხელის გამწყობი, ჩვენი მკვდრისა და ცოცხლის პატრონი, ჩვენი ნუგეში, ძმობის და სიყვარულის გამავრცელებელად მინიჭებული თვით ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲐᲒᲐᲜ ასე საქმეს გვიჭირვებს!? ᲖᲝᲠᲔᲚ სოხებზედ, ჩვენ მცარცავ ᲐᲛᲑᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲖᲔᲓ რაღა უნდა ვსთქვათ? ᲐᲜ იმ მწერალ—ჩინოვნიკებზედ, რომლებიც უბრალო ქალალდის დაწერაში ხუთ მანეთობით გვართმევენ ხოლმე?

—რატომ შკოლას არ გახსნით, რომ თქვენმა შვილებმა გაიგონ რამე წუთისოფლისა? მაშინ გონიერი მუშა ხალხი გვეყოლება! ᲐᲰᲐᲡ გარდა შენ შვილს რომ საქმე ჰქონდეს სასამართლოში, თითონ შეეძლება თავის საქმის გაკეთება და ის ხუთი მანეთი ისევ ჯიბეში დაგრჩებათ! ვეუბნებოდი მე.

— ᲐᲘ, მოიხსენე, ყმაწვილო! ᲛᲡ ათითორმეტი წელიწადია ჩვენ შკოლისთვის კაი სახლები ვიყიდეთ, მოწადინებულებიც ვიყავით ყველანი შკოლისთვის. მაგრამ, ჩვენ საუბედუროთ, ჯერ სულიერი მამების და დიაკვნების ხელში იყო სწავლა, მემრე დანიშნეს მასწავლებლათ ჩვენებური მწერალი ᲯᲣ—რ-ძე... ᲦᲕთის წყალობა გაქვს, ამან ხიდისთაველები გახიწნა! მერე დანიშნეს ვიღაც მაწანწალა! ᲔᲮᲚᲐ ამბობენ, ის ქვეეთ ქეყანაში დიაკვნათ არისო! ᲐᲰᲐᲗ ჩვენი შკილები ისე გამოაყრეს, რომ „ᲛᲘᲬᲧᲐᲚᲔᲪ“ ვერ ასწავლეს! რომ დავინახეთ, არაფერი სარგებლობა არა გამოდისო, ჩვენი შვილები გამოვიყვანეთ! ᲕᲐᲥᲝ, სამ ალოს ხომ ამიღებს მეთქი ჩემი შვილი გაზაფხულზედ, კაია ჩემთვის, ტყუილად სკოლაში გდებას მეთქ! მას აქეთ ბევრი ეწვალა ერთი ჩვენებური ახალგაზდა, მაგრამ დაშინებული ხალხი გონში ვერარ ჩაადგო! ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲚ შეჰყარა ხალხი, გამოუცხადა შკოლის გახსნა, მაგრამ ხალხი უარს შვრება!

ᲐᲛ დროს მოვიდა ერთი ახალგაზდა ბიჭი და უთხრა: „ᲛᲐᲛᲘᲚᲝ, აგერა ის კაცი, შენ რომ ეძებდი!.

მოხუცი წამოდგა, ჩამომართვა მძიმეთ ხელი და მითხრა! „უკაცრავათ, შენი ჭირიმე, რომ საუბარი ვერ დაგითავე! ᲗᲣ შეიძლება, გამოდი საღამოზედ, ჩემი ღარიბი ოჯახი ნახე, და კაი კაცების სადღეგრძელო დავლიოთ! სთქვა და წავიდა ᲖᲝᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ.

ᲠᲝᲪᲐ იმ მიზნით მიდის კაცი ხალხში, რომ უბირ—გლეხს გამოვგლიჯოს რამეო, ის სულ დავთრებს დაუფთხობს მას და მერე თუნდაც გამოუჩნდეს იმას ერთგული, მაინც რწმუნება დაკარგულია გლეხი; ის ვეღარ ბედავს მასთან ნდობას! ᲧᲕᲔᲚᲐ „სერთუკიანი,“ თუნდაც ხალხის კეთილ დღეობისთვის ზრუნავდეს, მაინც იმას მატყუარა ჩინოვნიკი და მგლეჯელი ჰგონია; ის მგლეჯელები რომელთაც ტკბილი, ძმური სიტყვებით, ჩვენი საწყალი გლეხი ბევრჯელ ყინულზედ გაუცურებიათ!

ᲕᲘᲜ იცის, რამდენს რას ფიქრობენ ხოლმე ჩვენი ახალგაზდები სასწავლებლის ბალკონზედ, როცა მათ აგონდებათ როლმე წითელი ნუნუა და მცვრიანი მწვადი; და როცა დაბრუნდებიან სამშობლოში ჯიბრობენ შემოსავლიანადგილებზედ და მამულს, იმას, არ ქ�, რასაც გლეჯენ იშოვიან და ეკლიანის ღობით შემოზღუდვენ!

მგზავრი სო—სო.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

— „ᲰᲐᲕᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ“ აცნობებენ სტამბოლიდამ 5 აგვისტოდამ, რომ „ᲚᲔᲘᲐᲠᲓᲛᲐ წარუდგინა სულთანს განსახილველად სახელები ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ იმ ᲐᲛᲘ ინსპექტორებისა, რომელნიც დანიშნულნი არიან კონტროლიერებათ ᲐᲖᲘᲘᲡ სათათრეთში ფინანსიური ნაწილისა. ᲛᲡᲔᲜᲘ არიან: ᲙᲐᲚᲕᲔᲠᲢᲘ, ᲖᲣᲐᲠᲐᲩᲘᲜᲝ და ᲡᲢᲝᲜᲘ“.

— „ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ“ 6 აგვისტოს სტამბოლიდამ: ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚ ნოტაში უკხო ქვეყნებში თავია წარმომადგენლებთან შესახებ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ დელეგატების დანიშვნისა საბერძნეთთან მოსალაპარაკებლათ, პორტა მოაგონებს სხვა სახელმწიფოების ნოტას, რომელიც თხოულობდა კამისარების დანიშვნას ხელ-მეორეთ მოსალაპარაკებლად სტამბოლში. ᲗᲐᲜᲮᲛᲐᲓ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ კონგრესის შეხედულობისა და სურვილისა, პორტამ აასრულა სახელმწიფოების მოთხოვნილობა. ᲘᲡ მხოლოდ უცდის საბერძნეთის კამისრებს, რომლებთაც გამოუცხადებს დღეს, თუ როდის იქნება მოლაპარაკება. როგორც ამბობენ, ეს იქნება (21) 9 აგვისტოს“.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

— „ᲠᲔᲘᲢᲔᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ“ სწერენ სტამბოლიდამ, რომ ᲠᲝᲛᲨᲘ გაგზავნილი ელჩის ცნობით, ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ მინისტერ-პრეზიდენტმა კაიროლმა ლაპარაკში აცნობა იმას, რომ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ სამმართველომ უნდა აასრულოს საფრანგეთის მოთხოვნილება შესახებ საბერძნეთის სამზღვრების გასწორებისა თანხმად ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡᲐ.

ᲘᲒᲘᲕᲔ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ელჩი აცნობებს პორტას, ᲕᲐᲓᲓᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ წარმოთქმულ სიტყვას, რომ საფრანგეთი არ გამოაცხადებს ომს იმ მიზნით, რომ საბერძნეთის მოთხოვნილება დაიჭიროს, მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ მოახდენს ამ გვარ დათანხმებას ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ სახელმწიფოებს შორის საბერძნეთის კითხვის თაობაზედ, რომლისთვისაც საკმაო იქნება ძალა დაატანოს ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ; რათა იმან შეასრულოს ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ განკარგულება ამ საქმის შესახებ“.

განცხადებანი

საუმაწვილო ბაღი

და

ელემენტარული შკოლა.

სოლოლაკზედ, ვილიამინოვის ქუჩაზედ, თ. ამატუნის სახლებში.

მიღება და ეკზამენები მოსწავლე ქალ-ვაჟთა დაიწყება 20 აგვისტოს; სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს 1879 წ.

საყმაწვილო ბაღში მიიღებიან ბავშვები ორივე სქესისა, რომელნიც წლოვანებით 4-დამ 7 წლისანი იქნებიან, შკოლაში კი—7 წლიდამ 14 წლამდი.

ამ შკოლაში კურსის შესრულების შემდეგ შეუძლიანთ შევიდნენ ყველა სასწავლებლების 1, და 2 კლასებში!

(6—1)

გამოსვიდა და ისყიდება

სახალხო საქმიმო წიგნი

კარაბადინი

შედგენილი

მღ. დავით ღამბაშიძისაგან.

გამოცემა პირველი.

ფასი გაგზავნით უყდოთ ერთი მანეთი, ყდით ექვსი აბაზი.

წიგნის ყიდვა შეიძლება:

თ ფ ი ლ ი ს ში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ქ უ თ ა ი ს ში—სიმონ ცერეაძის მაღაზიაში (გიმნაზიის მახლობლად).

ა ხ ა ლ-ს ე ნ ა კ ში — ბლაღოჩინს სასორდიასთან.

ზ უ გ დ ი დ ში—ბლაღოჩინ მიხ. მეუნარგიასთან.

ლ ე ჩ ხ უ მ ში (ლაილასში) —ბლაღოჩინ ილარიონ ბერსამიასთან.

ს ა ჩ ხ ე რ ე ში—ყარამან ჩხეიძესთან —სასოფლო შკოლაში.

ბ ო რ ში—პაველ ბურჯანაძესთან (სასულიერო სასწავლებელში).

ყ ვ ი რ ი ლ ა ში—ბლაღოჩინ დავით ღამბაშიძესთან.

დაბარება შეიძლება თვითონ გამომცემლისაგან, მღ. დ. ღამბაშიძისაგან (დ. ყვირილიდამ), ამ ადრესით: Въ м. Квирилы (Кут. губ.). Священнику Давиду Гамбашидзе. ვინც ათ ეგზემპლიარზე მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შაური დაეთმობა.

(7—7)

„ივერიის“ რედაქცია აცხადებს, როვისაც სურს ნახევარი წლის ჟურნალ-მიიღოს ივლისიდამ, შეუძლია დაიბაროს შემდეგის პირობით:

თ ფ ი ლ ი ს ში მცხოვრებლებს 5 მ. 50 კ.

გ ა რ ე შ ე მცხოვრებლებს — 6 მ. 50 კ.

ვისაც 1 ნომრიდამ უნდა მიიღოს მთელი წლის ნომრები, ამ პირობით დაიბაროს:

თ ფ ი ლ ი ს ში მცხოვრებლებს 11 მ.

გ ა რ ე შ ე მცხოვრებლებს — 12 მ.

ა დ რ ე ს ი: თ ფ ი ლ ი ს ი, ს ო ლ ო ლ ა კ ი, ა ნ ტ ო ნ ო ვ ი ს ქ უ ჩ ა № 4 და ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი ს წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა.

(3—3)

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები ფიჭვისა და ნაძვის ხეებისა კარების, ფანჯრებისა და იატაკებისათვის. სრულებით მშრალი ფიცრებია, ოცი წლის დახერხული.

ვისაც ამ ხის მასალის შეძენა ჰსურს შეუძლიან მიმართოს ა ر ს ე ნ ა ლ ი ს ა ს ე ბ ი ს ფ ო ლ ი ნ ო ვ ი ს ს ა ხ ლ ე ბ ი ს № 31; იკითხოს უფ. ვალერიან ჩეჩუტი.

(3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება

მერვე კარი

„ყარამანიანისა“

ქუჩის ხიდზედ, ვართანოვის წიგნის მაღაზიაში მირზის დუქნებში.

და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III IV, V, VI და VII კარი ყარამანიანის

ფასი 40 კაპ.

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ე. ხელაძისაგან.

თ ფ ი ლ ი ს ში, ყ ვ ე ლ ა წ ი გ ნ ე ბ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა ნ ი. ბ ო რ ში: ძ ა ძ ო ე ვ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა ნ ი. ქ უ თ ა ი ს ში: კ. მ ე ს ხ ი ს წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა ნ ი დ ა ლ ო ტ ო ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა ნ ი. ფ ო თ ი ს ში: ე ლ ი ს ბ ა რ ბ ა ლ ო ვ ი ა ნ ს, ო ზ ო ურ გ ე თ ს ი ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა ნ ი.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, მას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ	კაპ.	მ.	კაპ.
თ ფ ი ლ ი ს ი	9	21	5	18				
მ ც ხ ე თ ა	10	11	6	27	-	85	-	44
ბ ო რ ი	11	58	9	43	3	„	1	53
ხ ა შ უ რ ი	1	29	11	57	4	73	2	42
ს უ რ ა მ ი	1	44			4	90	2	61
ყ ვ ი რ ი ლ ა	5	49			7	21	3	69
რ ი ო ნ ი	6	57			8	44	4	31
ს ა მ ტ რ ე დ ი ა	7	51			9	66	4	93
ა ხ ა ლ-ს ე ნ ა კ ი	8	43			10	71	5	47
ფ ო თ ი	9	50			12	24	6	26
ფ ო თ ი	9	3						
ა ხ ა ლ-ს ე ნ ა კ ი	10	14			1	53	-	78
ს ა მ ტ რ ე დ ი ა	11	5			2	61	1	33
რ ი ო ნ ი	12	13			3	84	1	97
ყ ვ ი რ ი ლ ა	1	18	ღამე.		5	3	2	56
ს უ რ ა მ ი	5	12	1	10	7	34	3	74
ხ ა შ უ რ ი	5	39	1	37	7	51	3	84
ბ ო რ ი	7	5	4	8	9	24	4	73
მ ც ხ ე თ ა	8	50	6	59	11	39	5	82
თ ფ ი ლ ი ს ი	9	31	7	6	12	24	6	26

ტ ე ლ ე ბ რ ა ფ ი

ო ც ი ს ი ტ ყ ვ ა თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ

	მან	კაპ.
ა ვ ა ვ ა ს ი ის ა ქ ვ ე თ ა მ ხ რ ი ს ყ ვ ე ლ ა ქ ა ლ ა ქ ე ბ ი ს	—	50
რ ო ს ტ ო ვ ს, ო დ ე ს ა ს, მ ო ს კ ო ვ ს,	2	—
პ ე ტ ე რ ბ უ რ ლ ს, ვ ა რ შ ა ვ ა	2	—
ო ს მ ა ლ ე თ ი ს ი, შ ვ ე ი ც ა რ ი ა ს ი	3	—
ი ტ ა ლ ი ა ს ი და ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს ი	3	50
ი ნ გ ლ ი ს ს ი	3	75

ფ ო ჩ ტ ა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ: ს ა მ ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ, ქ უ თ ა ი ს ს, რ უ ს ე თ ს — ყ ო ვ ე ლ დ ღ ე კ ვ ი რ ს გ ა რ დ ა. ზ უ გ დ. ო რ შ. დ ა ხ უ თ შ. ო ზ ო ურ.—პ ა რ ა ს კ. დ ა ო რ შ. ა ხ ა ლ ს ე ნ ა კ ს — ს ა მ შ. დ ა შ ა ბ. ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ: თ ფ ი ლ ი ს ი ს დ ა ფ ო თ ი ს ი ა კ ე ნ — ყ ო ვ ე ლ დ ღ ე კ ვ ი რ ა ს გ ა რ დ ა. ო ზ ო ურ გ ე თ ს — ო რ შ. დ ა პ ა რ ა ს კ.

წ ი გ ნ ი ს გ ა გ ზ ა ვ ნ ა რ უ ს ე თ ს ი დ ა ს ა ი ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ:		კაპ
ღ ი ა ფ ვ ნ ს		3
დ ა ბ ე ჭ დ ვ ს (ს ა მ ი ბ ი ს ხ ა ლ ი)		7

მ ა ზ ა ნ დ ა

	მან	კაპ
თ ფ ი ლ ი ს ი 9 ა გ ვ ი ს ტ.		
ფ ქ ვ. თ ე თ. ბ ა ნ ჯ ი ს ა ფ უ თ.	2	40
ფ ქ ვ. წ ი თ ე ლ ი	1	70
ქ ე რ. ფ უ თ ი	1	40
ბ ა მ ბ ა ე რ ე ვ ნ ი ს ა, ფ უ თ ი.	8	20
— ა მ ე რ ი კ ი ს ა, ფ უ თ ს	9	50
ბ ა ვ ნ ტ ლ ი ბ ა მ ბ ა ფ უ თ ი.	10	70
მ ა ტ ყ ლ ი თ უ შ უ რ ი ფ უ თ ი.	8	40
— თ ო რ ა ქ ბ ი ს ა ფ უ თ ი	3	80
ა ბ რ ე შ უ მ ბ ნ უ ხ უ რ ი ს ტ.	2	10
ქ ო ნ ი ფ უ თ ი	5	60
ქ ო ნ ი ს ს ა ნ თ ე ლ ი ფ უ თ ი.	6	80
ს ტ ე ა რ ი ნ ი ს ს ა ნ თ ე ლ ი ფ.	12	—
ხ ო რ ც ი ძ ო ნ ი ს ა ლ ი ტ რ ა	—	—
— ც ხ ვ რ ი ს ა, ლ ი ტ რ ა	—	—
ს პ ი რ ტ ი ვ ე ლ ო	4	50
შ ა ქ ა რ ი ბ ო ლ ო. ფ უ ნ	7	5
— ფ ხ ვ ნ ი ლ ი ფ უ თ ი	5	60
ყ ა ვ ა ო ბ ე ვ ა ლ ი ბ ო ლ.	—	60
ზ ე თ ი ქ ო ნ ჯ ო ბ ი ს ა ფ უ თ ი.	13	60
თ ა ნ ბ ქ ო ს ა შ უ ა ო ფ უ თ.	6	70

თ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა მ კ ო ნ ა ლ ო.

ე ო ბ ვ ნ. მ ი დ., წ ი ნ-მ ძ ღ ვ ა ო ბ ვ. ს ა ხ ლ ი.

ა ვ ა თ მ ყ ო ფ ბ ს მ ი ი ღ ე ბ ე ნ ყ ო ვ ე ლ დ ღ ე დ ი ლ ი ს 8 ს ა ა თ ი დ ა ნ 10-დ ი ნ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ლ ი ს ი ც ე ვ ი დ ა ბ ა რ ლ ე ვ ი ჩ — შ ი ნ ა გ. ა ვ ა თ მ ყ ო ფ ბ ი ს.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვ ე რ მ ი შ ე ვ ი დ ა ბ. ბ ო ლ ი — ბ ე ულ ი ს ა დ ა შ ი ნ ა გ. ა ვ ა თ მ ყ ო ფ; რ ე ი ნ ი — თ ვ ა ლ ი ს, ყ ო ურ ა ვ ლ ე ვ ი — კ ა ნ ი ს ა დ ა ვ ე ნ ე რ ი ო ულ ი ს, ბ ა ხ უ ტ ო ვ ი — ქ ა ლ ი ს ა დ ა ბ ა ვ შ ვ ე ბ ი ს.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლ ი ს ი ც ე ვ ი — შ ი ნ ა გ, ბ ა ბ ა ე ვ ი — ნ ვ რ ვ ე ბ ი ს.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვ ე რ მ ი შ ე ვ ი — შ ი ნ ა გ. ა ვ ა თ თ მ ყ. დ ა ყ ო ურ ა ვ ლ ე ვ ი — კ ა ნ ი ს დ ა ვ ე ნ ე რ ი ო ულ ი ს.

პ ა რ ა რ ს კ ე ვ ს ი ქ ნ ე ბ ი ა ნ: ლ ი ს ი ც ე ვ ი, ბ ა ბ ო ვ ი, ბ ა ბ ა ე ვ ი დ ა ბ ა ხ უ ტ ო ვ ი.

შ ა ბ ა თ ს: ვ ე რ მ ი შ ე ვ ი, რ ე ი ნ ი დ ა ყ ო ურ ა ვ ლ ე ვ ი.

ო რ ბ ე ბ ტ ი — კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი დ ა ბ ა ბ ა ე ვ ი მ ი ღ ე ბ ე ნ შ ი ნ, ლ ა რ ი ბ ე ბ ს მ უ ქ თ ა დ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Августъ 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.